



## სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება

N 4  
18/02/2021

4-0-4-202102181019



### სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 04 თებერვლის #04/4525 წერილის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამატებით შეთანხმებულ იქნას სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 1 ერთეული და მათი საერთო რაოდენობა განისაზღვროს 11 ერთეულით.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ცოტნე დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე